საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 10 მაისი, 1945 წ. № 92 (7307). ფასი 20 კაპ.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

ი. სტალინი

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

შვიდ მაისს, ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს, გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ვიცით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატინა ქაღალდი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შესძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ,—ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ვეღარ შესძლოს წამოდგომა". ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა,—ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას აძლევენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

**დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!**

**დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!**

**სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძლევამოსილად დამთავრდა, გერმანია სავსებით განადგურებულია.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, მოგილოცავთ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით ათასი ქვემეხის ოცდაათი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 9 მაისი. № 369



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
### უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს
### ფრონტის შტაბის უფროსს არმიის გენერალ პეტროვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის ღამის სწრაფი მანევრის შედეგად გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დღეს, 9 მაისს, დილის 4 საათზე გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა.

ქალაქ პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გორდოვის, გენერალ-პოლკოვნიკ პუხოვის, გენერალ-პოლკოვნიკ ჟადოვის, გენერალ-ლეიტენანტ მალანდინის, გენერალ-მაიორ ლიამინის, პოლკოვნიკ ზელინსკის, გენერალ-ლეიტენანტ ჩეროქმანოვის, გენერალ-ლეიტენანტ პუზიკოვის, გენერალ-მაიორ ბაკლანოვის, პოლკოვნიკ ივანოვის, გენერალ-მაიორ ორლოვის, გენერალ-მაიორ დანილოვსკის, გენერალ-მაიორ ვოლკოვიჩის, გენერალ-მაიორ კრასნოვის ჯარებმა; გენერალ-პოლკოვნიკ ლელიუშენკოს, გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკოს, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ნოვიკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ უპმანის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბახმეტიევის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბელოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ერმაკოვის, პოლკოვნიკ პუშკარევის, პოლკოვნიკ ხილოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მიტროფანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოვიკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ სუხოვის, პოდპოლკოვნიკ კარნიუშკინის, პოდპოლკოვნიკ შჩერბაკის, პოლკოვნიკ სელივანჩიკის, პოლკოვნიკ ტურკინის ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ვარენცოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოჟუხოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ დობრინსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ კრასნოკუტსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ მენტიუკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნიკოლსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კუზეევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოლუექტოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ძევულსკის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიაზანოვის, პოლკოვნიკ ნიკიშინის, ავიაციის გენერალ-მაიორ არხანგელსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ ზაბალუევის, ავიაციის გენერალ-მაიორ სლიუსარევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უტინის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ გალიცკის, პოლკოვნიკ პოლუექტოვის, პოლკოვნიკ კამენჩუკის, პოლკოვნიკ კორდიუკოვის, პოდპოლკოვნიკ სკოროხოდის, პოდპოლკოვნიკ სობოლევის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბულიჩევის, კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ ახრემენკოს, პოლკოვნიკ ოსტრენკოს, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოლკოვნიკ სიმხოვიჩის, პოლკოვნიკ ბოგომოლოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „პრაღის" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 9 მაისს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი პრაღა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პრაღის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 9 მაისი. № 368.

მოსკოვი. კრემლი

# ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲓᲘᲓ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲐᲚᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

**ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!**

ქალაქ თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგი, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისადმი მიძღვნილი, მგზნებარე მისალმების პირველი სიტყვებით მოგმართავს თქვენ, სოციალისტური სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის უდიდეს ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

სსრ კავშირის ხალხები და მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები, უნდა გიმადლოდნენ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ მსოფლიო ბატონობისა და კაცობრიობის საუკუნოვანი კულტურისა და ცივილიზაციის ნგრევის უგუნური ჰიტლერული გეგმები გაცამტვერებულია და მტრის ურდოები საბოლოოდ განადგურებულია თქვენ მიერ გამოწრთობილი და თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფი გმირი წითელი არმიის მძლავრი დარტყმებით.

თქვენი წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა ღირსეულად გადალახა ომის მკაცრი განსაცდელი. ყველაზე მძიმე მომენტებში, როცა თავგასულ მტერს ეგონა, რომ იგი ახლო იყო თავისი შავბნელი ზრახვების განხორციელებასთან, თქვენ შეუდრეკელი ნებისყოფით და შორსმჭვრეტელი გონებით უნერგავდით ჩვენი ქვეყნის ხალხებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ურყევ რწმენას.

თქვენი სახელი მომავალი განთავისუფლების სიმბოლო იყო ფაშიზმის მიერ დამონებულ ევროპის ხალხთათვის.

თქვენ მიერ შემუშავებული ახალი სამხედრო სტრატეგია წარმოადგენს სამხედრო ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს. მან უზრუნველჰყო გამარჯვება ძლიერ და ვერაგ მტერზე.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ უსასტიკესი ბრძოლის მსვლელობაში სსრ კავშირის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ თქვენს გარშემო, **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, კიდევ უფრო მტკიცე გახდა ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. საბჭოთა სახელმწიფო ომიდან გამოვიდა კიდევ უფრო მძლავრი. საბჭოთა წყობილებამ ცხადჰყო, რომ იგი არის მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე მტკიცე სახელმწიფო წყობილება.

თქვენ აღაფრთოვანებდით ჩვენი ქვეყნის მშრომელებს უდიდესი საგმირო საქმეებისათვის ფრონტზე და ზურგში, აიარაღებდით მათ მოქმედების ნათელი პროგრამით და მტკიცედ მიუძღოდით გამარჯვებისაკენ.

მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად გამოეხმაურა თქვენს დიად მოწოდებებს ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მტრის განდევნისა და მისი საკუთარ ბუნაგში სრული და საბოლოო განადგურების შესახებ. ზურგში თავისი შრომითი გმირობით საბჭოთა ხალხმა უზრუნველჰყო ფრონტი ყოველივე იმით, რაც სჭირდებოდა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ომის ძლევამოსილად წარმოებას.

სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი მთელ თავის ძალებს ახმარდა მტერზე გამარჯვების საქმეს. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები იარაღით ხელში გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე, ხოლო მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია თავდადებით შრომობდნენ ზურგში ფრონტისათვის ყოველმხრივი დახმარების გასაწევად.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისადმი თქვენმა ბრძნულმა შორსმჭვრეტელურმა ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო დემოკრატიულ სახელმწიფოთა ურღვევი ბლოკი ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ.

წითელ არმიის მხარდამხარ ბრძოლით სასტიკად მტერს ანადგურებდნენ ჩვენი სახელოვანი მოკავშირეების მამაცი ჯარები. დასავლეთიდან თავიანთი მძლავრი შეტევით მათ გააადვილეს წითელი არმიის ძლევამოსილი იერიში აღმოსავლეთიდან და დააჩქარეს უსიტყვო კაპიტულაცია მტრისა, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ მთელი მსოფლიოს დაპყრობაზე ოცნებობდა.

დადგა დიდი ხნის ნანატრი სასიხარულო დღე გამარჯვებისა.

დღეს, გამარჯვების დიად დღესასწაულზე, სსრ კავშირის ხალხები და მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი მადლობისა და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით შემოგცქერიან თქვენ, მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენი ქვეყნის უდიდესი გამარჯვებით აღფრთოვანებული სსრ კავშირის ხალხები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით კიდევ უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდებენ ხელს მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, სწრაფად მოიშუშებენ ომით მიყენებულ ჭრილობებს და შემდგომი აყვავებისაკენ წაიყვანენ ჩვენს დიდ სამშობლოს.

ამ დიდ შემოქმედებით მუშაობაში საბჭოთა საქართველოს მშრომელები, როგორც ყოველთვის, პირველ რიგებში იქნებიან, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას!

დიდება ხალხთა ბრძენ ბელადს, დიდ მხედართმთავარს, ჩვენს მშობლიურ **სტალინს!**

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ**, 8 მაისი. (საკდესი). თვითმფრინავების მოსვლიდან ნახევარი საათის შემდეგ ავიაციის მთავარმა მარშალმა ტედერმა ვიზიტი გაუკეთა საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს. ტედერმა გამარჯვება მიულოცა მარშალ ჟუკოვს და გადასცა მას აბრეშუმის თეთრი დროშა, რომელზეც ამოქარგულია გაერთიანებული ძალების ემბლემა. საბჭოთა კავშირის მარშალმა ჟუკოვმა თავის მხრივ მიულოცა მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლებს. მარშალი ჟუკოვი აგრეთვე ინახულა და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება მიულოცა საფრანგეთის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა დელატრ დე ტასინიიმ. მიულოცა რა წითელ არმიას დე გოლის და ფრანგი ხალხის სახელით, მან სთქვა, რომ რუსმა ხალხმა თავისი ბრძოლით დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთის განთავისუფლების საქმეს. ამის შემდეგ მარშალ ჟუკოვს პირადი საუბარი ჰქონდა ავიაციის მთავარ მარშალ ტედერთან.

ისტორიული მოვლენა, რომელსაც ყველანი მოელიან, უნდა მოხდეს რუხ სახლში, ცვიზელერშტრასეს და რაინშტაინშტრასეს ქუჩების კუთხეში, სადაც მოთავსებული იყო ბერლინის სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელი. დიდ ორშუქიან დარბაზში სადა მოწყობილობაა. კონფერენციის მონაწილეთათვის მომზადებულია გრძელი მაგიდები. დარბაზი მორთულია ოთხი ნაციონალური ალმით — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ალმებით.

გვიანი საღამოა. დარბაზში შემოდიან საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი, ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი. მათ მოჰყვებიან და თავიანთი ადგილებისაკენ მიდიან მოკავშირე სახელმწიფოთა დანარჩენი წარმომადგენლები, დელეგაციების წევრები. ნაციონალური ალმების ქვეშ მდგომ სავარძლებს იკავებენ საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი, ტედერი, სპაატსი, ვიშინსკი, ბეროუ, დელატრ დე ტასინიი. ცენტრალურ მაგიდას იკავებენ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები, წითელი არმიის გენერლები, რომლებიც იმ ნაწილებს სარდლობდნენ, ბერლინი რომ დაიკავეს. პრესის მაგიდას უსხედან საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. ერთი მაგიდა ჯერჯერობით ცარიელია. საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი მიმართავს დამსწრეთ.

— ბატონებო, — ამბობს მარშალი,— ჩვენ შევიკრიბეთ აქ: წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის რწმუნებით — უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის რწმუნებით — ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი; აქ არიან აგრეთვე ამერიკის არმიის გენერალ-პოლკოვნიკი სპაატსი, საფრანგეთის არმიისაგან დელატრ დე ტასინიი — რათა მივიღოთ გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობისაგან უსიტყვო კაპიტულაციის პირობები. წინადადება შემომაქვს შევუდგეთ მუშაობას და მოვიწვიოთ აქ გერმანიის სარდლობის რწმუნებულნი.

შემდეგ მარშალი ბრძანებას იძლევა: — მოიწვიეთ აქ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლები უსიტყვო კაპიტულაციის პირობების მისაღებად.

დარბაზში შემოდიან გერმანიის არმიის გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი, გენერალ-ადმირალი ფრიდებურგი, გენერალ-პოლკოვნიკი შტუმპფი — ადიუტანტების თანხლებით. აბსოლუტურ სიჩუმეში ფელდმარშალი კაიტელი და მისი თანმხლები პირნი იკავებენ გერმანელთა სარდლობის წარმომადგენლებისათვის მომზადებულ ადგილებს.

კვლავ ლაპარაკობს მარშალი ჟუკოვი:

— ბატონებო, ახლა უნდა მოხდეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტის ხელმოწერა. მე მივმართავ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებს შეკითხვებით, აქვთ თუ არა მათ ხელზე აქტი, გაეცნენ თუ არა მას, თანახმა არიან თუ არა გერმანიის სარდლობის წარმომადგენლები ხელი მოაწერონ ამ აქტს?

გერმანიის არმიის სარდლობის წარმომადგენლებს ამავე შეკითხვებით მიმართავს ავიაციის მთავარი მარშალი ტედერი. პასუხს ელიან ყველა შეკრებილნი. სიჩუმეა.

— დიახ, თანახმა ვარ, — დაბალი ხმით ამბობს გერმანიის არმიის გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი და მარშალ ჟუკოვს გადასცემს გროს-ადმირალ დენიცის მიერ ხელმოწერილ მთავარი ბანაკის დოკუმენტს, რომელიც რწმუნებას აძლევს კაიტელს — როგორც შეიარაღებული ძალების სარდლობის შეფს და ამავე დროს როგორც არმიის სარდალს, ფონ ფრიდებურგს — როგორც სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს, შტუმპფს, — როგორც საჰაერო ძალების წარმომადგენელს — ხელი მოაწერონ საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების სარდლობის წინაშე გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. საჭირო ფორმალობანი დაცულია. მარშალი ჟუკოვი წინადადებას იძლევა გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის რწმუნებულთ მივიდნენ მაგიდასთან და ხელი მოაწერონ აქტს. კაიტელი, ფრიდებურგი და შტუმპფი რიგრიგობით ხელს აწერენ აქტს.

ფოტოაპარატების ობიექტივები და კინოკამერის აფსკა აღბეჭდავენ ამ მოვლენას.

აქტი ხელმოწერილია. გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა. სამ ენაზე შედგენილი აქტის ერთი ეგზემპლარი ეძლევა ფელდმარშალ კაიტელს. საბჭოთა კავშირის მარშალი ჟუკოვი აცხადებს: გერმანიის დელეგაციას შეუძლია წავიდეს.

**ბ. აფანასიევი,**
**ქ. სუხინი.**

# Ბ Რ Ძ Ა Ნ Ე Ბ Უ Ლ Ე Ბ Ა

### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

### ᲛᲔᲓᲐᲚ „ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 1941 — 1945 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ" ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. გერმანიაზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად დაწესდეს მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941 — 1945 წლების დიდ სამამულო ომში".

2. დამტკიცდეს დებულება მედლისა „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941 — 1945 წლების დიდ სამამულო ომში".

3. დამტკიცდეს აღწერილობა მედლისა „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941 — 1945 წლების დიდ სამამულო ომში".

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ᲒᲝᲠᲙᲘᲜᲘ**

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 9 მაისი.

# Დ Ე Ბ Უ Ლ Ე Ბ Ა

### ᲛᲔᲓᲚᲘᲡᲐ „ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 1941-1945 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ"

1. მედლით „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში" დაჯილდოვდებიან:

ა) ყველა სამხედრო მოსამსახურენი და ნებით დაქირავებული საშტატო შემადგენლობის პირნი, რომლებიც წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების რიგებში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სამამულო ომის ფრონტებზე ან უზრუნველჰყოფდნენ გამარჯვებას თავისი მუშაობით სამხედრო ოლქებში;

ბ) ყველა სამხედრო მოსამსახურენი და ნებით დაქირავებული საშტატო შემადგენლობის პირნი, რომლებიც დიდი სამამულო ომის პერიოდში მსახურობდნენ მოქმედი წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების რიგებში, მაგრამ იქიდან წასული არიან დაჭრის, ავადმყოფობისა და დასახიჩრების გამო, აგრეთვე გადაყვანილი არიან სახელმწიფო და პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებით სხვა სამუშაოზე არმიის გარეთ.

2. მედალს „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში" გადაცემა სწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ დიდ სამამულო ომში მონაწილეობას და რომლებსაც გასცემენ ნაწილთა მეთაურები, სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა უფროსები და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომები.

გადაცემა სწარმოებს: იმ პირებისათვის, რომლებიც წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ჯარების საჯარისო ნაწილებში იმყოფებიან,— საჯარისო ნაწილების მეთაურების მიერ, ხოლო იმ პირებისათვის, რომლებიც წასული არიან არმიიდან, ფლოტიდან და შინსახკომის ჯარებიდან, — ოლქის, ქალაქის და რაიონის სამხედრო კომისრების მიერ დაჯილდოებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. მედალს „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში" ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეზე. თუ დაჯილდოებულს აქვს ორდენები და სხვა მედლები, ხსენებული მედალი უნდა მოთავსდეს მედლის „საბჭოთა იმპერატორის დაცვისათვის" შემდეგ.

# Ა Ღ Წ Ე Რ Ი Ლ Ო Ბ Ა

### ᲛᲔᲓᲚᲘᲡᲐ „ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ 1941-1945 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲨᲘ"

მედალი მრგვალია, მზადდება თითბრისაგან. მედლის წინა მხარეზეა ამხანაგ ი. ბ. სტალინის პროფილური წელზედა გამოხატულება საბჭოთა კავშირის მარშლის ფორმაში. მედლის ზედა ნაწილს წრეხაზზე აქვს წარწერა: „ჩვენი საქმე სამართლიანია", ქვემო ნაწილში წრეხაზზე წარწერა: „ჩვენ გავიმარჯვეთ".

მედლის უკანა მხარეს აქვს წარწერები: წრეხაზზე — „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", ცენტრში — „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში". ქვემო ნაწილშია მცირე ზომის ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

მედლის გამოსახულება და წარწერები მოზნექილია.

მედლის დიამეტრი 32 მილიმეტრია.

მედალი ყუნწითა და რგოლით უერთდება 24 მილიმეტრი სიგანის აბრეშუმის მუარის ლენტ შემოვლებულ ხუთკუთხა კალაპოტს. ლენტზე არის ხუთი გრძივი თანაბარი სიგანის ზოლი— სამი შავი და ორი ნარინჯის ფერისა. ლენტის კიდეებს შემოვლებული აქვს ნარინჯისფერი ვიწრო ზოლები.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

### 9 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

**ᲢᲣᲙᲣᲛᲡᲡᲐ** და **ᲚᲘᲑᲐᲕᲐᲡ** შუა გერმანიის ჯარების კურლანდიის ჯგუფმა გერმანელთა მე-16 და მე-18 არმიების შემადგენლობით, ინფანტერიის გენერალ ჰილპერტის სარდლობით ამა წლის 8 მაისის 23 საათიდან წინააღმდეგობა შეწყვიტა და დაიწყო **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ** ფრონტის ჯარებისათვის პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის გადმოცემა. ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები **ᲚᲘᲑᲐᲕᲐ (ᲚᲘᲔᲞᲐᲘᲐ), ᲞᲐᲕᲘᲚᲝᲡᲢᲐ, ᲐᲘᲖᲞᲣᲢᲔ, ᲡᲙᲠᲣᲜᲓᲐ, ᲡᲐᲚᲓᲣᲡᲘ, ᲡᲐᲑᲘᲚᲔ, ᲙᲐᲜᲓᲐᲕᲐ, ᲢᲣᲙᲣᲛᲡᲘ**. 9 მაისს საღამოსათვის ფრონტის ჯარებს ტყვედ დანებდა 45.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეების მიღება გრძელდება.

მდინარე **ᲕᲘᲡᲚᲘᲡ** შესართავის რაიონში, **ᲓᲐᲜᲪᲘᲒᲘᲡ** აღმოსავლეთით, და **ᲞᲣᲢᲪᲘᲒᲔᲠᲜᲔᲠᲣᲜᲒᲘᲡ** ისარაზე, **ᲒᲓᲘᲜᲘᲘᲡ** ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროსთან მიმწყვდეულმა გერმანელთა ჯარების ჯგუფებმა წინააღმდეგობა შესწყვიტეს და 9 მაისს დილიდან დაიწყეს **ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ** მე-3 და მე-2 ფრონტების ჯარებისათვის პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის გადმოცემა. 9 მაისს საღამოსათვის **ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ** მე-3 ფრონტის ჯარებს ტყვედ დანებდა 11.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო **ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ** მე-2 ფრონტის ჯარებს — 10.000. ტყვეების მიღება გრძელდება.

გერმანელთა ჯარების ჯგუფი ჩეხოსლოვაკიაში თავს არიდებს საბჭოთა ჯარების წინაშე კაპიტულაციას და სასწრაფოდ იხევს უკან დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის ღამის სწრაფი მანევრის შედეგად გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და 9 მაისს დილის 4 საათზე გერმანელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ჩვენი მოკავშირე **ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ** დედაქალაქი **ᲞᲠᲐᲦᲐ**, აგრეთვე **ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ** ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები **ᲮᲝᲛᲣᲢᲝᲕᲘ, ᲙᲐᲓᲐᲜᲘ, ᲑᲘᲚᲘᲜᲐ, ᲚᲝᲣᲜᲘ. ᲓᲠᲔᲖᲓᲔᲜᲘᲡ** სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წინ მიიწევენ, დაიკავეს ქალაქები **ᲞᲘᲠᲜᲐ, ᲖᲔᲑᲜᲘᲢᲪᲘ, ᲜᲝᲘᲒᲔᲠᲡᲓᲝᲠᲤᲘ, ᲪᲘᲢᲐᲣ, ᲤᲠᲘᲓᲚᲐᲜᲢᲘ, ᲚᲐᲣᲑᲐᲜᲘ, ᲑᲠᲐᲘᲤᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ, ᲒᲘᲠᲨᲑᲔᲠᲒᲘ, ᲕᲐᲠᲛᲑᲠᲣᲜᲘ**. ამავე დროს **ᲑᲠᲔᲡᲚᲐᲕᲚᲘᲡ** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები **ᲚᲐᲜᲓᲔᲡᲰᲣᲢᲘ, ᲒᲝᲢᲔᲡᲑᲔᲠᲒᲘ, ᲕᲐᲚᲓᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘ, ᲨᲕᲐᲘᲓᲜᲘᲪᲘ, ᲠᲐᲘᲮᲔᲜᲑᲐᲮᲘ, ᲚᲐᲜᲒᲔᲜᲑᲘᲚᲐᲣ, ᲤᲠᲐᲜᲙᲔᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ, ᲞᲐᲢᲨᲙᲐᲣ, ᲕᲐᲠᲢᲐ, ᲒᲚᲐᲢᲪᲘ, ᲚᲐᲜᲓᲔᲙᲘ**.

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** მე-4 ფრონტის ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები **ᲨᲘᲚᲞᲔᲠᲙᲘ, ᲛᲘᲣᲒᲚᲘᲪᲘ, ᲛᲝᲠᲐᲕᲡᲙᲐ ᲢᲠᲘᲣᲑᲐᲣ, ᲚᲘᲢᲝᲕᲔᲚᲘ, ᲞᲠᲝᲡᲢᲔᲔᲕᲘ**.

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც სწრაფად მიიწევენ წინ, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები **ᲕᲔᲚᲘᲙᲘᲔ ᲛᲔᲟᲘᲠᲘᲩᲘ, ᲘᲘᲒᲚᲐᲕᲐ, ᲑᲠᲝᲓᲘ, ᲑᲔᲜᲔᲨᲝᲕᲘ, ᲢᲠᲟᲔᲑᲘᲩᲘ**.

**ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ** მე-3 ფრონტის ჯარებმა ავსტრიის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქები **ᲚᲝᲝᲡᲓᲝᲠᲤᲘ, ᲕᲘᲖᲔᲚᲑᲣᲠᲒᲘ, ᲐᲛᲨᲢᲔᲢᲔᲜᲘ, ᲛᲘᲣᲠᲪᲣᲡᲨᲚᲐᲒᲘ, ᲑᲠᲣᲙᲘ, ᲒᲠᲐᲪᲘ**, და შეუერთდნენ ამერიკის ჯარებს **ᲐᲛᲨᲢᲔᲢᲔᲜᲘᲡ** რაიონში.

## ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲦᲔ

### ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ-ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ

8 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა ჟურნალ-გაზეთების, გამომცემლობათა მუშაკებისა და მუშკორთა აქტივის მოსკოვის საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი ბოლშევიკური პრესის დღისადმი.

ბოლშევიკური პრესის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. პ. ნ. ფედოსეევმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი. (საკდესი).

# ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

გამარჯვება!

ელვის სისწრაფით მოედო ჩვენს ქვეყანას დიადი, ბრწყინვალე, სასიხარულო სიტყვა: გამარჯვება!

დიდი სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა. ჰიტლერული გერმანია სავსებით განადგურებულია წითელი არმიის და ჩვენი მოკავშირეების არმიების მიერ. საბჭოთა მეომრების მიერ დაკავებულ გერმანიის დედაქალაქში, ბერლინში, საბჭოთა კავშირის მარშალმა ჟუკოვმა და მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების წარმომადგენლებმა კაპიტულაციის პირობები უკარნახეს გერმანელთა უმაღლეს სარდლობას. გერმანელ ფაშისტთა არმიამ არსებობა შესწყვიტა. ჰიტლერული ავაზაკური სახელმწიფო დაიმსხვრა.

კაცობრიობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. მასში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი წითელი არმიის გმირთა საგმირო საქმეები. დიდება წითელ არმიას, ხალხთა განმათავისუფლებელს!

დიდება წითელი არმიის გამარჯვებათა შემოქმედს, დიდება გენიალურ მხედართმთავარს, ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს!

ხალხთა თავისუფლების, მათი დამოუკიდებლობის, მათი თანამშრომლობისა და მეგობრობის წმიდა სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა ფაშისტურ მხეცობაზე. ამაო იყო მტრის ცდები გაეთიშა ხალხები მათს ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. ჩაიფუშა მტრის მთელი პროვოკატორული ფანდები. წითელმა არმიამ ჩაშალა მტრის შავბნელი ზრახვები. გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა ერთდროულად მოახდინეს კაპიტულაცია წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების წინაშე.

დიდია საბჭოთა ხალხის ზეიმი. 9 მაისის მზე ასხივოსნებს სადღესასწაულოდ მორთულ ჩვენს ქვეყანას. ამხანაგი სტალინი ომის ძნელ დღეებში ამბობდა, რომ ჩვენს ქუჩაზეც დადგებოდა დღესასწაული. და აი ეს დღესასწაული დადგა გაზაფხულის ბრწყინვალებაში, ჩვენი გამარჯვების კამკამა სხივებში!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 9 მაისის დღე „აღსანიშნავად იმისა, რომ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ძლევამოსილად დამთავრდა და წითელმა არმიამ მოიპოვა ისტორიული გამარჯვებები, რაც დაგვირგვინდა სრული განადგურებით ჰიტლერული გერმანიისა", გამოცხადებულია საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღედ, გამარჯვების დღესასწაულად. დღეს პირველად დადუმდებიან ქვემეხები ევროპის ფრონტებზე. დადგა ის ბედნიერი დღე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხები თითქმის ოთხ წელს ელოდნენ.

უსაზღვროა ჩვენი სიხარული და ბედნიერება!

მოგესალმებით თქვენ, ჩვენო გმირებო ფრონტზე, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს უშიშარო დამცველნო! თქვენ საუკუნეებში მოუხვევჭეთ მას სახელი. თქვენ დაანახვეთ მსოფლიოს, თუ რის გაკეთება შეუძლია ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოზრდილ წითელ არმიას, რომელსაც სტალინური სკოლის გენერლები ხელმძღვანელობენ.

მოგესალმებით თქვენ, ზურგის თავდადებულო მუშაკებო! თქვენ სახელი მოუხვეჭეთ თქვენს სამშობლოს უმაგალითო შრომით. თქვენ დაანახვეთ მსოფლიოს, თუ რის უნარი შესწევს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილ საბჭოთა სახელმწიფოს!

ჩვენ ვადიდებთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული ჩვენი გმირების უკვდავ ხსოვნას. მათს გმირობაზე, სამშობლოსათვის მათს თავდადებულ ბრძოლაზე აღიზრდებიან საბჭოთა ხალხის თაობები.

ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის გამარჯვებას, და ჩვენთან ერთად დღესასწაულობენ წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული ხალხები ევროპისა. ჩვენი საყოველთაო-სახალხო ზეიმი ერთვის მოძმე სლავი ხალხების ზეიმს. ხალხთა მეგობრობას, რომელიც განმტკიცებულია სისხლით სლავთა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ველებზე, თავისი უხვი ნაყოფი მოაქვს.

ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის გამარჯვებას, და ჩვენთან ერთად ხარობენ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხები, ჩვენი მოკავშირეები. ჰიტლერული გერმანიის განადგურებამ ცხადჰყო, რომ არ არსებობს ისეთი მტრული ძალა, რომელსაც შეეძლოს გაუძლოს ცივილიზაციის, კულტურის, დემოკრატიის დაცვის დიდი იდეებით აღფრთოვანებულ გაერთიანებულ ერთა იერიშს.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ წითელ არმიას, მთელ ჩვენს ხალხს ეკუთვნის მთავარი, გადამწყვეტი როლი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში.

ჩვენ გადავიტანეთ მძიმე წლები, ჩვენ განვიცადეთ უდიდესი ზარალი გერმანელ ფაშისტთა მხეცობისაგან, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების, ქარხნებისა და კოლმეურნეობების დანგრევისაგან. მაგრამ ძლიერი და დაუშრეტელია საბჭოთა სახელმწიფოს ძალები.

სამხედრო შრომაში გამოწრთობილი, ძლიერი, განმტკიცებული გამოდის საბჭოთა ხალხი დიდი სამამულო ომიდან. სიყვარულით მოავლებს თვალს იგი თავის ქვეყანას. მას დიდი შრომა მოელის. მოპოვებულია ისტორიული გამარჯვება, მტერი განადგურებულია, მაგრამ საჭიროა გამარჯვების ნაყოფის განმტკიცება. ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„გერმანიასთან ომის მოგება ნიშნავს დიდი ისტორიული საქმის განხორციელებას. მაგრამ ომის მოგება კიდევ არ ნიშნავს ხალხთათვის მომავალში მტკიცე მშვიდობიანობის და საიმედო უშიშროების უზრუნველყოფას. ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ ომი მოვიგოთ, არამედ ისიც, რომ ახალი აგრესიისა და ახალი ომის წარმოშობა შეუძლებელი გავხადოთ, თუ სამუდამოდ არა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაინც".

ხალხის სულს ღრმად ჩასწვდა ჩვენი საყვარელი ბელადის ბრძნული შთამაგონებელი სიტყვები. ჩვენ გვახსოვს ეს სიტყვები ომში და მშვიდობაში, გამარჯვების დღესასწაულის ზეიმში და ყოველდღიურ დაძაბულ შრომაში. ჩვენ ვიცით, რომ გამარჯვება თავისთავად როდი მოსულა. იგი მოპოვებულია წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებით, გმირობით, მხედრული ოსტატობით. იგი მოაწყო ჩვენმა უძლეველმა ბოლშევიკურმა პარტიამ — ლენინ-სტალინის პარტიამ, გამარჯვებამდე ჩვენ მიგვიყვანა დიდმა სტალინმა.

ჩვენი გამარჯვების დღესასწაული — თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ზეიმია. მსოფლიოს ხალხებმა იციან, თუ ვის უნდა უმადლოდნენ თავიანთ ხსნას მოსპობისაგან, ფაშისტური მონობისაგან.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, დაე მშვენებით იდგეს იგი მსოფლიოს ხალხებს შორის,— მათი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ბურჯი!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სტალინურ გამარჯვებას!

**„ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ" 9 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ**

# Გ Ა Მ Ა Რ Ჯ Ვ Ე Ბ Ა

გამარჯვება! ეს მოკლე სასიხარულო სიტყვა ღამით მოეფინა ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებს, სადღესასწაულო ჰიმნად გაისმა ქარხნების საამქროებში, ბინებში, მინდვრებში...

ორ საათსა და ათ წუთზე სიჩუმეში გაისმა დიქტორის დინჯი საზეიმო ხმა. მან გვაუწყა დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრება... გერმანიამ კაპიტულაცია მოახდინა... საომარი მოქმედება შესწყდა... ცხრა მაისი გამარჯვების დღესასწაულად გამოცხადდა...

მილიონობით ადამიანი მიაწყდა რეპროდუქტორებს. ფანჯრებში შუქმა გამოანათა. მუშებსა და ინჟინრებს, ფრონტელთა დედებს, დიასახლისებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს — არავის არ სძინებია ამ ისტორიულ ღამეს.

სტიქიურად გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი დედაქალაქის ქარხანა „კრასნი პროლეტარში", სადაც ღამით მივიდა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი და მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე გ. მ. პოპოვი. ისტორიული ამბისადმი მიძღვნილ თავისი მოკლე სიტყვის დასასრულ მან დღეგრძელობა უსურვა დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს, წითელ არმიას, ზურგის დაუღალავ მშრომელებს. მხურვალე ოვაციები, მისასალმებელი შეძახილები, „ვაშას" გუგუნი გაისმა ვეებერთელა საამქროს თაღებს ქვეშ. მგზნებარე მისალმების სიტყვებით მიმართეს მიტინგის მონაწილეებმა სამხედრო და შრომითი გამარჯვებების სულისჩამდგმელს და დიდ ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს. კრასნი პროლეტარელებმა ფიცი დასდეს, რომ მშვიდობიან დროს ისევე მხურვალედ და ისევე თავდადებულად იმუშავებენ, როგორც ომის დღეებში, რათა სწრაფად აღადგინონ სახალხო მეურნეობა და კულტურა.

ამ ღამეს სიხარულის ზეიმი სუფევდა ლენინგრადის იმ გმირი ქარხნის საამქროებში, რომელიც კიროვის საამაყო სახელს ატარებს. ადამიანები ხელს ართმევდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს. ისინი კანონიერი სიამაყით ლაპარაკობდნენ გამარჯვების დიდ საქმეში შეტანილი თავიანთი შრომითი წვლილის შესახებ.

დიდი ხნის ნანატრი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ჩვენს ქვეყანას. კიევის ათასობით მცხოვრები გამოვიდა სადღესასწაულო რაკეტებით განათებულ ქუჩებში. იგრიალა ძლევის საარტილერიო ზალპებმა. ყველგან გაისმოდა მილოცვები, მისასალმებელი შეძახილები დევგმირი საბჭოთა მეომრებისა და მათი გენიალური მხედართმთავრის პატივსაცემად.

„ლენკუზნიცის", „არსენალის", „უკრკაბელის" ქარხნებში ღამით შესდგა აღფრთოვანებული მიტინგები.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანი იყო, კუიბიშევის ოლქის ხვოროსტიანკის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტიაბრში" მიტინგი შესდგა.

— სიყვარულისა და მადლობის პირველი სიტყვით მივმართავ დიდ სტალინს — მან მიიყვანა ჩვენი ქვეყანა მტერზე სრულ გამარჯვებამდე. დიდება სტალინს, დიდება მამაც წითელ არმიას, რომელმაც მტრისაგან დაიცვა ჩვენი სამშობლოს ღირსება და თავისუფლება.

უკრაინასა და ბელორუსიაში, მოლდავეთსა და ყირიმში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში — ყველგან სახალხო ზეიმი იყო გაჩაღებული.

გმირი ხალხი, გამარჯვებული ხალხი, რომელმაც ღირსეულად გაუძლო ომის მთელ სიძნელეებსა და განსაცდელს, ადიდებდა თავის მამაც არმიას, ადიდებდა ბელადსა და მხედართმთავარს. და მისალმებათა მხურვალე სიტყვებში, სიხარულით აღსავსე სიტყვებში მოისმოდა ხვალინდელი დღის მტკიცე რწმენა, მზადყოფნა ახალ-ახალი შრომითი გმირობის ჩასადენად სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი ზრდისა და აყვავებისათვის. (საკდესი).



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ Ლ. Პ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სპეციალური გამოშვება

10 მაისი 1945 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა.

შვიდ მაისს ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. რვა მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობის და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო რვა მაისს ოცდაოთხი საათიდან.

ვიცით რა მგლური ჩვეულება გერმანელი მმართველებისა, რომლებსაც ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ფარატინა ქაღალდად მიაჩნიათ, ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვერწმუნოთ მათს სიტყვებს. მაგრამ დღეს დილიდან გერმანელთა ჯარები კაპიტულაციის აქტის შესასრულებლად მასობრივად შეუდგნენ იარაღის დაყრას და ტყვედ ნებდებიან ჩვენს ჯარებს. ეს უკვე არ არის ფარატინა ქაღალდი. ეს გერმანიის შეიარაღებული ძალების ნამდვილი კაპიტულაციაა. მართალია, გერმანელთა ჯარების ერთი ჯგუფი ჩეხოსლოვაკიის რაიონში ჯერ კიდევ არიდებს თავს კაპიტულაციას. მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ წითელი არმია შესძლებს გონს მოიყვანოს ეს ჯგუფი.

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვების დღე.

დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სლავი ხალხების საუკუნეობრივი ბრძოლა თავიანთი არსებობისა და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა გერმანელ დამპყრობლებსა და გერმანულ ტირანიაზე გამარჯვებით.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა მან ვერასოდეს ველარ შესძლოს წამოდგომა". ეს იყო სამი წლის წინათ. მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა, — ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. ნამდვილად გამოვიდა რაღაც იმის პირდაპირ საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ. გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას აძლევენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ევროპაში ომის პერიოდი გათავდა. დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი.

მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!

დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას, რომელმაც დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და მოიპოვა მტერზე გამარჯვება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში და თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა
## წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძლევამოსილად დამთავრდა, გერმანია სავსებით განადგურებულია.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, მოგილოცავთ დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით ათასი ქვემეხის ოცდაათი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც მოიპოვეს ეს ბრწყინვალე გამარჯვება.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1945 წლის 9 მაისი. № 369.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, 28. 1945 წელი, 10 აპრილი. უე 00311

# დიდება ჩვენს გმირ წითელ არმიას! დიდება ჩვენს დიდ ხალხს!



თბილისის მშრომელთა მიტინგი ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე. სურათზე: ტრიბუნაზე (მარჯვნიდან მარცხნივ) ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ა. რაფავა, გ. გოჩაშვილი, მ. ბარამია, პ. შარია, ი. ტიულენევი, მ. ჯაში, გ. სტურუა, გ. ბუჯიაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## თბილისის მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისადმი

გუშინ დღისით ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე შესდგა თბილისის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებას და წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებს.

მიტინგს ორმოცი ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

სტადიონისაკენ დილიდანვე გაემართნენ სადღესასწაულოდ გამოწყობილ, მოზეიმე ადამიანთა კოლონები. გამარჯვების წითელი დროშებით მიდიან გმირი წითელი არმიის, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშების, რკინიგზელების, რესპუბლიკურ და საქალაქო დაწესებულებათა მოსამსახურეების, სტუდენტების, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების მუშაკთა წარმომადგენლები, მოსწავლეები.

ყველა აღფრთოვანებით წარმოსთქვამს ისტორიული გამარჯვების შემოქმედისა და ორგანიზატორის სახელს, საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის, — მშობლიური **სტალინის** სახელს. მთელი ფიქრები და გრძნობები მისკენ არის მიმართული. ბელადის პორტრეტი მიუძღვის ყოველ კოლონას, პორტრეტები სიყვარულით მორთავთ გაზაფხულის ყვავილებით.

სიხარული, როგორც მთის წყალუხვ ნაკადს მოუცავს თბილისის ქუჩები და მოედნები.

ეს ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ზეიმია.

განუწყვეტლივ გუგუნებენ ორკესტრები, თავისუფლად და ლაღად გაისმის სიმღერა. ხან აქ, ხან იქ იწყება ცეკვა.

კოლონები ზედიზედ შედიან სტადიონის ფართოდ გაღებულ ჭიშკრებში.

აქ კვლავ იწყება სიმღერა, ჩაღდება ცეკვა.

ხალხი, ათასობით ადამიანი ხარობს, ზეიმობს.

სტადიონის ცენტრალური ტრიბუნის თავზეა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელის ამხანაგ **სტალინის** დიდი პორტრეტი. იქცევა ლოზუნგი:

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

ამ სიტყვებში გამოხატულია ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება საყვარელი ბელადისადმი.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, გ. სტურუა, ი. ტიულენევი, პ. ეფიმოვი, მ. ბარამია, ა. რაფავა, გ. ბუჯიაშვილი, პ. შარია, მ. ჯაში, ს. ხოშტარია, ზ. ჩხუბიანიშვილი, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვ.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. გოჩაშვილი ხსნის თბილისის მშრომელთა სადღესასწაულო მიტინგს, მიძღვნილს დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისადმი.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს. ომის დღეებში შობილი ჰიმნის დიდებული ხმები ნარნარად გაისმის სტადიონზე და ადამიანებს გულს ავსებს საბჭოთა სამშობლოსათვის სიამაყით.

ამხ. გოჩაშვილი სიტყვას აძლევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს, რომელსაც მიტინგის მონაწილენი გულთბილად ხვდებიან.

### ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა

ამხანაგებო!

1945 წლის 9 მაისი ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე. დიდი ხნის ნატრი სრული გამარჯვება კაცობრიობის დაუძინებელ მტერზე, გამარჯვება, რომლისთვისაც იბრძოდნენ და შრომობდნენ ასეულ მილიონობით ადამიანები მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებში, უკვე მიღწეულია. გერმანიის შეიარაღებული ძალების კაპიტულაციის ამბავმა დიდი სიხარული შეიტანა ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში, თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში. გამარჯვების დღესასწაული, რომელიც ჩვენმა მთავრობამ გამოაცხადა, ნამდვილი საყოველთაო-სახალხო ზეიმის, საერთო-სახალხო სიხარულის დღეა.

საბოლოოდ აღმოფხვრილია სერიოზული საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებდა ჩვენს ხალხებს საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმასთან დაკავშირებით. ძლევამოსილად დამთავრდა ომი გერმანიასთან.

ჰიტლერელი მტარვალები, რომლებმაც გერმანელები უმაღლეს რასად გამოაცხადეს და თავიანთი თავი მსოფლიოს ბატონებად წარმოიდგინეს, გათელილი არიან წითელი არმიის მძლავრი სვლით.

ახლა ამხანაგ **სტალინის** სიტყვები — ჩვენს ქუჩაზე დადგა დღესასწაული!

საქართველოს საბჭოთა მთავრობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით ნება მიბოძეთ მოგილოცოთ, ამხანაგებო, ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს გამარჯვების ეს სასიხარულო დღე — ფაშისტ დამპყრობელთა შავბნელ ძალებზე გამარჯვების დღესასწაულის დღე. **(მქუხარე ტაში).**

ომი, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს მოახვია ჰიტლერულმა გერმანიამ, ოთხ წელზე ცოტა ნაკლებ ხანს გაგრძელდა. ეს იყო ომების ისტორიაში უმაგალითო, დაძაბული სისხლისმღვრელი ბრძოლების წლები.

კაცობრიობის ისტორიაში ვერც ერთი ომი, ყველაზე ხანგრძლივიც კი, ვერ შეედრება მსხვერპლისა და ნგრევის მხრივ ომს, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ.

საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით გადაავლებს თვალს დღეს ძლევამოსილ გზას, რომელიც მან ამ ომში განვლო. ომის მთელ მანძილზე — მის პირველ ეტაპზე წითელი არმიის დროებითი წარუმატებლობიდან გერმანელ ფაშისტთა ურდოების საბოლოოდ განადგურებამდე მათს საკუთარ ბუნაგში — ჩვენი ხალხი ღირსეულად და პირნათლად ასრულებდა თავის დიად ისტორიულ მისიას. ომის პირველი დღეებიდანვე, თავისი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოწოდებით, მთელი საბჭოთა ხალხი დაირაზმა ერთიან საბრძოლო ბანაკად, რომელიც თავის სახელოვან წითელ არმიასთან ერთად დიდ განმათავისუფლებელ ომს ეწეოდა ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

მეორე მსოფლიო ომი მასში მონაწილე ხალხების ფიზიკური, მატერიალური და მორალური ძალების გამოცდა გახდა. ომმა დაამტკიცა ჩვენი შეიარაღებული ძალების, ჩვენი ეკონომიკის უპირატესობა გერმანიის არმიებსა და მეურნეობაზე.

ომის შედეგმა კვლავ და კვლავ დაადასტურა:

ა) დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილი საბჭოთა წყობილების, როგორც ყველაზე მოწინავე სახელმწიფოებრივი ფორმის, ურყევობა და სიმტკიცე;

ბ) სოციალისტური ეკონომიკის—ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლის სიმტკიცე და ძლიერება;

გ) სისწორე საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკისა, რომელმაც უზრუნველჰყო საბრძოლო კავშირის დადება მძლავრ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან;

დ) გერმანელ დამპყრობთა განადგურებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის — ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის, **ლენინ-სტალინის** პარტიის თეორიისა და პრაქტიკის სისწორე, პოლიტიკური სიბრძნე და ერთგულება თავისი ხალხისადმი. **(მქუხარე ტაში).**

ომმა ცხადჰყო ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ერთიანობის ურყევობა, საბჭოთა ქვეყნის ხალხების ძმური კავშირის ურღვეობა, ხალხებისა, რომლებიც ერთსულოვნად დაირაზმნენ ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

ამ ომში კვლავ და კვლავ გამოჩნდა ისტორიული როლი დიდი რუსი ხალხისა — დევგმირი ხალხისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ძირითადი სიმძიმე.

რუსმა ხალხმა ჭეშმარიტად დაიმსახურა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების საყოველთაო მხურვალე სიყვარული და მადლობა.

დღეს, გამარჯვების დღესასწაულის ამ ისტორიულ დღეს, მთელი ხალხი თვალს მიაპყრობს და მგზნებარე მისალმების პირველი სიტყვებით მიმართავს იმას, ვინც საბჭოთა ქვეყანა მოიყვანა ამ სასიხარულო დღემდე, — მამას, ბელადს, მასწავლებელს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს. (ხანგრძლივი ტაში. მიტინგის ათასობით მონაწილენი მქუხარე ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივსაცემად).**

ჩვენი ხალხის ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ დიდი განსაცდელის წლებში მის ცხოვრებასა და ბრძოლას წარმართავდა ამხანაგი **სტალინი** — თანამედროვეობის უდიდესი ადამიანი. ამხანაგ **სტალინის** მრავალმხრივი გენია, რომელიც მოიცავს ჩვენი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და სამხედრო მშენებლობის ყველა დარგს, მისი ფოლადისებური ნებისყოფა, შეუდრეკელი მამაცობა აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს დიადი საგმირო საქმეებისათვის.

ჰიტლერელებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ევროპის იარაღი და მრეწველობა. ამიტომ მათ ომის პირველ ეტაპზე ჩვენთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ ტანკების, თვითმფრინავების, ავტომატური იარაღის, არტილერიის რაოდენობის მხრივ. ჩვენ მარტონი ვეწეოდით ომს თითქმის მთელი ევროპის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მაშინ ჩვენ ომის გამოცდილებაც გვაკლდა. მაგრამ ხალხი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამხანაგ **სტალინის** სამხედრო, პოლიტიკური, ორგანიზატორული გენია მიგვიყვანდა ჩვენი სამართლიანი საქმის საბოლოო გამარჯვებამდე. და დღეს საბჭოთა ხალხმა იცის, რომ თავის გამარჯვებას იგი უნდა უმადლოდეს სწორედ ამხანაგ **სტალინს. (მქუხარე ტაში).**

ამხანაგმა **სტალინმა** დაიცვა ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი 1941 წლის ოქტომბრის მძიმე დღეებში. ამხანაგმა **სტალინმა** მოაწყო გერმანელთა განადგურება სტალინგრადთან. ამხანაგმა **სტალინმა** გამოზარდა და დააწინაურა წითელი არმიის ნიჭიერი გენერალიტეტი. ამხანაგ **სტალინის** მიერ შექმნილმა სტრატეგიამ, რომელიც სამხედრო ხელოვნების მწვერვალს წარმოადგენს, ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა დიდ სამამულო ომში. ამ მოწინავე სტრატეგიამ, რომელიც განხორციელებულ იქნა ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით, უზრუნველჰყო ჩვენი გამარჯვება.

ამხანაგ სტალინის სიტყვები, მოხსენებები, ბრძანებები სამამულო ომის განმავლობაში, 1941 წლის 3 ივლისის ღირსსახსოვარი გამოსვლით დაწყებული და 1945 წლის საპირველმაისო ბრძანებით დამთავრებული, წარმოადგენდნენ წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელმძღვანელოს ომის წარმოების მძიმე საქმეში.

ეს სტალინური დოკუმენტები წარმოადგენენ ბელადისა და უმაღლესი მთავარსარდლის უბადლო მეცნიერული განჭვრეტელობის ნიმუშებს, შემდგომ უკვე განხორციელებულ წინასწარდასახულობათა ნიმუშებს.

დღეს მთელი კაცობრიობა მიესალმება დიდ მხედართმთავარს, გერმანიაზე გამარჯვების ორგანიზატორს — ჩვენს მშობლიურ **სტალინს. (კვლავ ჰქუხს ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ამხანაგ **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებმაც თავიანთი თავდადებული მუშაობით უზრუნველჰყვეს ჩვენი სამშობლოს დაცვის ამხანაგ **სტალინის** მიერ დასახული გეგმების განხორციელება. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად უდიდეს სიხარულს განიცდის დღეს მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ აღზრდილია საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, ამხანაგ **სტალინისადმი** სიყვარულისა და ერთგულების ტრადიციებზე. **(მქუხარე ტაში).**

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს, რომ იგი მთელ თავის ძალებს ახმარდა სამშობლოს დაცვის სამსახურს, რომ მისმა შვილებმა გაამრავლეს თავიანთი წინაპრების საბრძოლო ტრადიციები და მამაცობისა და თავგანწირულობის ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს სამამულო ომის მატიანეში.

მოვიგონებთ რა დღეს 1942 წლის შემოდგომის მძიმე დღეებს, როცა ულმობელი და ვერაგი მტერი კავკასიის კარიბჭესთან იდგა და ცდილობდა სისხლში ჩაეხრჩო ჩვენი აყვავებული ქალაქები და სოფლები და დაემონებინა საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხები, ჩვენ მადლობით წარმოვთქვამთ ერთგული სტალინელის სახელს, რომელმაც მოაწყო გერმანელთა განადგურება კავკასიაში, — ჩვენი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** სახელს. **(მქუხარე ტაში. მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივ ოვაციას მართავენ ამხ. ლ. პ. ბერიას პატივსაცემად).**

დღეს, გამარჯვების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს, საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით აღნიშნავს უკვდავ საგმირო საქმეებს თავისი შვილებისას, რომლებიც დაეცნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ჩვენი სამშობლოს დაცვის საქმეს, მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

ვდღესასწაულობთ რა გამარჯვების სახელოვან დღეს, უნდა შევფიცოთ ამხანაგ **სტალინს**, რომ საქართველოს მშრომელები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად იქნას მოშუშებული ჩვენი სამშობლოსათვის ომით მიყენებული ჭრილობები, მოახმარენ ჩვენი მეურნეობის სრული აღდგენის, ჩვენი დიდი სახელმწიფოს შემდგომი აყვავების საქმეს.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, რომელმაც მოიპოვა ისტორიული გამარჯვება ავაზაკურ გერმანიაზე!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სტალინურ აღმზრდელს, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!**

ცოცხლობდის და იმარჯვებდის ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტია, **ლენინ-სტალინის** პარტია!

დიდება დიდ **სტალინს! (მქუხარე ტაში. მიტინგის მონაწილენი ხანგრძლივ ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივსაცემად).**

* * *

ამხ. ჩარკვიანის მკაფიო სიტყვას არა ერთხელ სწყვეტს მქუხარე ტაში, მისასალმებელი შეძახილები გმირი წითელი არმიის პატივსაცემად, ამხანაგ **სტალინის**, მის ერთგულ თანამებრძოლთა პატივსაცემად. როცა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ლაპარაკობს ქართველი ხალხის საყვარელ შვილ ამხანაგ **ლ. პ. ბერიაზე**, კავკასიაში გერმანელთა განადგურების ორგანიზატორზე,—კვლავ ჰქუხს ხანგრძლივი ტაში.

წინადადება შემოდის მიტინგის სახელით მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ხალხთა ბელადს, საყვარელ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს.**

ეს წინადადება ახალ ერთსულოვან მქუხარე ტაშს იწვევს. ტაში რამდენიმე წუთს გრძელდება.

ამხანაგ **სტალინისადმი** მისალმების ტექსტს კითხულობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილი.

მისალმების უკანასკნელი სიტყვები უერთდება ტაშის ახალ ტალღას, რომელიც ერთდროულად ჰქუხს სტადიონის სხვადასხვა კუთხეში და იქცევა საყოველთაო ოვაციად დიდი **სტალინის** პატივსაცემად.

ორკესტრი კვლავ ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

მიტინგი დამთავრდა. აღფრთოვანებული, სიხარულით აღსავსე ადამიანები სტოვებენ სტადიონს. დღესასწაული გრძელდება ბაღებში, ქუჩებში, თეატრებში, სახლებში.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი ზეიმობს.

**გიორგი ლეონიძე**

## ბერლინს მყოფო ქართლის ვაჟო...

განშორების კაეშანთა
ჩემი გული დაეშანთა,
შენთვის ვენთე
სანთლის ღვენთებრ
და შენი გზა
შორით ჩანდა.
წუხელ, როგორ ახლოს გაჩნდი,
ძლივს ვიჭერდი გულის ღელვას,
დიდი ამბის მოლოდინში
ხეც კი იდგა შეურხევლად.
გადაწურულ ვარსკვლავებში,
როცა გაჰკრა ვარდის ალმა,
ჩვენ ბელადის შემოთვლილი
სიხარულით მოგვესალმა.
— **გამარჯვება! გამარჯვება!**
— ჩაიელვა ჩიტმა დილით;
დღეს პირველად დავიხურეთ,
მხიარული ჩით-მანდილი.
ყელს ვეკიდეთ ჩვენ ერთმანეთს,
გრიალებდა ცხელი ტაში,
მთელი ღამე არ დამშრალა
საფერავი ხელადაში!
ქვევრებს თავი გავუტეხეთ,
როგორც მტერს თქვენ, —
ბრძოლის ველად,
ტაშფანდური
დაფანტული
გუგუნებდა საყვარლად.
— თუ შენა ხარ ჩემი ცალი,
და მე შენი ბეჭდის თვალი,
შენს ხმალს და შენს დროშას ვფიცავ,
ყანასა და ქარვის მტევანს,
დედაც ვიყავ, გუთნის-დედაც,
და მოსავალს არ აქვს ტევა!
შეგისრულე, როგორც თვით შენ,
შეასრულე სიტყვა შენი;
დაგიხვდები თავხოხობი,
კერა გიმკე დიდ-ნაშენი.
ქმარა, გულში რაც დამფიფქა,
უტყვმა ცრემლმა და იარამ,
ვითომც წვიმამ სვე გაავლო,
იწვიმა და გადიარა.
გაზაფხულო, ცხრა მაისო,
მაისებზე ასჯერ მეტო,
საკუთარი მაისი ხარ,
საუკვდავოდ საიმედო!
გაუმარჯოს მტერზე ძლევას,
და ჩვენის რძით გაზრდილ ბელადს,
ბერლინს მყოფო ქართლის ვაჟო,
ყვავილს გტყორცნი
ფერად-ფერადს!
თუ შენა ხარ ჩემი ცალი,
და მე შენი ბეჭდის თვალი,
შენთვის ვენთე
სანთლის ღვენთებრ
დღეს აცხადდა რაც შორს ჩანდა
და გული თუმც დაეშანთა,
ვერ დაგვძლიეს კაეშანთა!

9 მაისი, თბილისი.

## უმაგალითო გამარჯვება

ბელადის სახელობის ქარხნის მთელი კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეხვდა ცნობას გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ. მუშებმა ერთმანეთს მხურვალედ მიულოცეს გამარჯვების ეს სასიხარულო ამბავი.

დილითვე შესდგა ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგი, რომელიც გახსნა საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ცირეკიძემ.

მიტინგზე შეკრებილ ქარხნის კოლექტივს გამარჯვების დიადი დღესასწაული მიულოცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ.

— კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ასეთი უმაგალითო გამარჯვება. ეს გამარჯვება ჩვენმა ხალხმა მოიპოვა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, — სთქვა ამხ. გ. სტურუამ.

დამსწრენი მქუხარე ტაშით და ოვაციით შეხვდნენ ამხ. გ. სტურუას სიტყვებს:

— გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებულ ხალხს!

— გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორს, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!**

მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის საუკეთესო ადამიანები: ორდენოსანი მექვაბე ამხ. მ. გეწაძე, სტახანოველი ზეინკალი ამხ. ი. მაჩაიძე, სოციალისტური შრომის ნოვატორი ზ. ნადირაძე, ოსტატი ი. ბოუცაძე, ი. ნაზარბეგოვი, ი. სადიხოვი და სხვები.

ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივის ეს მიტინგი დიდ პატრიოტულ დემონსტრაციად გადაიქცა.

## ხალხი ზეიმობს

ზეიმით და ბედნიერებით აღსავსეა გული... ცბიერმა, ვერაგმა მტერმა იარაღი დაჰყარა.

ბერლინში — ფაშისტი მხეცის ბუნაგში — ამაყად ფრიალებს წითელი არმიის ბიერ აღმართული გამარჯვების დროშა.

ამ სასიხარულო, დაუვიწყარ დღეს საბჭოთა ადამიანების გრძნობა და აზრი მიმართულია სახელოვანი წითელი არმიისაკენ, რომელმაც სისხლისმღვრელ ბრძოლებში მოიპოვა საბოლოო გამარჯვება მტერზე, მიმართულია საყვარელი ბელადის — ამხანაგ სტალინისაკენ, ვისმა გენიამაც გამარჯვების დიად დღესასწაულამდე მიიყვანა ჩვენი ხალხი.

დიდება გამარჯვების მარშალს — ჩვენს საყვარელ ბელადს სტალინს!

**თამარ ჭავჭავაძე**
**საქართველოს სსრ სახალხო არტისტი**

# ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის განცხადება პრეს-კონფერენციაზე სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 7 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). პრეს-კონფერენციაზე, რომელსაც დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა სხვა ქვეყნის 600-მდე კორესპონდენტი, ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება, რითაც შეჯამებულია კონფერენციის მუშაობის პირველი ნაწილი:

„ახლა შეიძლება შევაჯამოთ კონფერენციის მუშაობის პირველი ნაწილის შედეგი. დამთავრდა კონფერენციის ოთხი თავმჯდომარის თათბირები დუმბარტონ-ოქსში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესწორებების გამო. ამასთან მიღწეულია კონფერენციის წარმატებისათვის დიდმნიშვნელოვანი ერთსულოვნება. მუშაობას შეუდგნენ კომისიები და ქვეკომისიები, რომლებშიც ყველა გაერთიანებულ ერთა წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ მრავალრიცხოვან ძველ და ახალ წინადადებათა და შესწორებათა განხილვაში. საბჭოთა დელეგაცია მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს თათბირზე მიღებულ შემდეგ ოთხ შესწორებას:

1. თავში „მიზნები" ახლა სპეციალურად ნათქვამია სამართლიანობისა და საერთაშორისო უფლების პრინციპების დაცვის შესახებ. აქ ნათქვამია აგრეთვე ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპების პატივისცემის აუცილებლობაზე, რასაც საბჭოთა კავშირი ყოველთვის პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა. ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის …

…

4. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ უშიშროების საბჭოს შესახებ შემოტანილი არ ყოფილა არავითარი წინადადება, რომელიც სცვლიდეს მის როლსა და ადგილს ორგანიზაციაში. ამით ერთხელ კიდევ არის დემონსტრირებული წამყვან სახელმწიფოთა ერთსულოვნება ხალხთა ომისშემდგომი უშიშროების მთავარ საკითხში. იქმნება რწმენა, რომ ამ გზას დაადგებიან კონფერენციის მონაწილე სხვა ქვეყნებიც.

5. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში შემოვიდა წინადადებანი ტერიტორიული მეურვეობის შესახებ, რის განხილვაც ახლა ფართოდ მიმდინარეობს პრესაში. ამერიკისა და ინგლისის წინადადებანი ამ საკითხზე სხვადასხვანაირია და შესწავლას მოითხოვენ. საბჭოთა დელეგაციისათვის ცხადია, რომ საერთაშორისო უშიშროების ინტერესთა თვალსაზრისით ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ დამოკიდებულმა ქვეყნებმა რაც შეიძლება მალე შესძლონ ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე გამოსვლა. ამას ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებულ ერთა სპეციალურმა ორგანიზაციამ, რომელმაც უნდა იმოქმედოს ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპების განხორციელების დაჩქარების საფუძველზე. საბჭოთა დელეგაცია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ საკითხის განხილვაში.

დასასრულ მე მსურს რწმენა გამოვთქვა, რომ კონფერენცია შესძლებს უკვე უახლოეს ორ-სამ კვირაში განიხილოს ყველა ძირითადი საკითხი. ახლა, როცა წითელი არმიის და მოკავშირეთა არმიების …

…

რომლებიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულებებში. მე მგონია მონახულია გადაწყვეტილება, რომელიც სავსებით შეესაბამება ხალხთა უშიშროების ინტერესებს.

… იქნას თვით პოლონელთა სურვილების შესაბამისად".

ამით ვ. მ. მოლოტოვმა დაამთავრა პრეს-კონფერენცია.

# ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციასთან დაკავშირებით

სან-ფრანცისკო, 9 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში გამოქვეყნდა წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის და ამავე დროს მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის წინაშე გერმანიის შეიარაღებული ძალების კაპიტულაციის აქტი, ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა გაერთიანებულ ერთა მოსისხლე მტერზე—ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვება …

… მახვერპლთა ხსოვნა. ჩვენ პირნათლად შევასრულებთ ჩვენს დიდ მოვალეობას ომის ინვალიდების წინაშე, დაობლებული ოჯახების წინაშე. საბჭოთა კავშირზე გერმანიის ვერაგული თავდასხმის დღეს საბჭოთა მთავრობამ განაცხადა: „ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი დამარცხებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება". ჩვენ ამას მივაღწიეთ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში. …

… ვისი გმირობით და თავისი იარაღით უზრუნველყო გამარჯვება ჩვენს მტერზე, გაერთიანებულ ერთა მოსისხლე მტერზე. ჩვენთვის სამუდამოდ წმიდა იქნება დაღუპულ მებრძოლთა და გერმანიის ფაშიზმის ურიცხვ …

… მარჯვება და წავიდოთ წინ მტკიცე მშვიდობიანობის შესაქმნელად. ჩვენ უნდა განვიმტკიცოთ გამარჯვება ხალხთა თავისუფლების გულისათვის, კაცობრიობის კეთილდღეობის, კულტურისა და პროგრესის გულისათვის".

# დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილის გამოსვლა

გერმანიის კაპიტულაციის გამო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა 8 მაისს სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი და განაცხადა:

„გუშინ დილით 02 საათსა და 41 წუთზე გენერალ ეიზენჰაუერის შტაბში გერმანიის უმაღლესი სარდლობისა და გერმანიის სახელმწიფოს დანიშნულ მეთაურ გროს-ადმირალ დენიცის წარმომადგენელმა გენერალმა იოდლმა ხელი მოაწერა აქტს, რომლის მიხედვით გერმანიის მთელი სახმელეთო, საზღვაო …

… ფიციური სამხედრო კონსულტაციის მიხედვით, სრულიადაც არ წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ დავფაროთ ეს ფაქტები, რომლებიც ჩვენ გენერალმა ეიზენჰაუერმა გვაცნობა, და რომლებიც შეეხება რეიმსში უკვე ხელმოწერილ უსიტყვო კაპიტულაციას. სწორედ ახლა ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს, რომ ვიდღესასწაულოთ დღევანდელი და ხვალინდელი დღეები, როგორც ევროპაში გამარჯვების დღეები.

…

# ბ-ნ უ. ჩერჩილის რადიო-მიმართვა

…

# გენერალ დე გოლის გამოსვლა

…

… რო სარდლობა იმყოფებიან გერმანიაში, შესაძლოა, რომ მტრის ზოგი შენაერთი შეეცდება ცალკეულ ადგილებში, თავისი საკუთარი რისკით, განაგრძოს უიმედო წინააღმდეგობა. მაგრამ გერმანია დამხობილია და ხელი მოაწერა თავის დამღუპველ განაჩენს.

იმ მომენტში, როცა დიდების სხივები კვლავ აციაკროვნებენ ჩვენს დროშებს, სამშობლო უწინარეს ყოვლისა იმათკენ მიმართავს თავის ფიქრებსა და სიყვარულს, ვინც მისთვის დაიღუპა, ხოლო შემდეგ იმათკენ, ვინც ამდენი ბრძოლა და ტანჯვა გადაიტანა მის სამსახურში. ამრიგად, სამშობლოს ჯარისკაცების, მეზღვაურებისა და მფრინავების არც ერთ ღონისძიებას, მისი ვაჟიშვილების … მთელ მსოფლიოში იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და შრომობდნენ იმისათვის, რომ ბოლოსდაბოლოს თავისუფლებასა და სამართლიანობას გაემარჯვნათ.

დიდება! სამარადისო დიდება ჩვენს არმიებს და მათს ხელმძღვანელებს! დიდება ჩვენს ხალხს, რომელიც ვერ გასტეხა და ვერ მოდრიკა საშინელმა განსაცდელმა! დიდება გაერთიანებულ ერებს, რომლებმაც ჩვენს სისხლს შეუერთეს თავიანთი სისხლი, თავიანთი ტანჯვა ჩვენს ტანჯვას, თავიანთი იმედები ჩვენს იმედებს და რომლებიც დღეს ჩვენთან ერთად ზეიმობენ! გაუმარჯოს საფრანგეთს!".

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჰ. ტრუმენის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა 8 მაისს რადიოთი შემდეგი განცხადება გააკეთა: „ეს საზეიმო, დიდებული დღეა. როგორ მინდოდა, რომ რუზველტი მოსწრებოდა ამ დღეს. ეიზენჰაუერმა მაცნობა, რომ გერმანიის ჯარებმა კაპიტულაცია მოახდინეს გაერთიანებული ერების წინაშე. თავისუფლების დროშები ფრიალებენ მთელ ევროპაში. ამ გამარჯვებისათვის ჩვენ …

… ოფიციალური პროკლამაცია ამ შემთხვევის გამო.

„მოკავშირეთა არმიებმა თავგანწირულებითა და ერთგულებით გზით, ღვთის შეწევნით აიძულეს გერმანია მოეხდინა საბოლოო და უსიტყვო კაპიტულაცია. დასავლეთი მსოფლიო განთავისუფლებულია ბოროტი ძალებისაგან, რომლებიც ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში …

… უკვე ახლა ბედნიერად შევასრულეთ. მე მოვუწოდებ ყველა ამერიკელს დარჩნენ თავიანთ პოსტებზე მანამდე, ვიდრე მოგებული არ იქნება უკანასკნელი ბრძოლა. ამ დღემდე დაე ნურც ერთი ადამიანი ნუ დასტოვებს თავის პოსტს და ნუ შეასუსტებს თავის ღონისძიებებს. ამჟამად მე მსურს წაგიკითხოთ ჩემი … აგრეთვე ჩემს თანამემამულეებს ლოცვების დღე მიუძღვნან იმათ ხსოვნას, ვინც თავისი სიცოცხლე შესწირა, რომ შესაძლებელი გახადა ჩვენი გამარჯვება.

დასტურად ზემოთქმულისა საკუთარი ხელი მოვაწერე და ამერიკის შეერთებული შტატების ბეჭედი დავუსვი".

## საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმში

# 10 მილიარდი მანეთი მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-ყოფაცხოვრებითი მომსახურების გასაუმჯობესებლად

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე განიხილა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1945 წლის ბიუჯეტი. მომხსენებელმა — პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგემ ამხ. გორბუნოვმა განაცხადა, რომ წელს ბიუჯეტი შეადგენს 10,1 მილიარდ მანეთს — 1 მილიარდ 661 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე შარშან. ეს ომიანობის დროის პირობებში მშრომელთათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მკაფიო მაჩვენებელია.

მნიშვნელოვნად იზრდება დედათა და ბავშვთა მომსახურების, მუშა-მოსამსახურეთა დასვენება-მკურნალობის ხარჯები. ამ ზაფხულს საერთო და სანატორიული ტიპის პიონერთა ბანაკებში, მოედნებზე დაისვენებენ მუშა-მოსამსახურეთა, პირველ რიგში ფრონტელთა 1.675 ათასი ბავშვი, 522 ათასით მეტი, ვიდრე შარშან. თითქმის ერთიანად დიდდება ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების ხარჯები — 130 მილიონი მანეთიდან 345 მილიონამდე.

ფართოვდება დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ქსელი. მათი რიცხვი სულ კოტა 460 იქნება. წელს დაისვენებს და მკურნალობას გაივლის 750 ათასი მშრომელი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1945 წლის ბიუჯეტი და დაადგინა სისტემატური კონტროლი გაეწიოს სახსრების სწორ ხარჯვას. (საქდესი).

# გორის რაიონმა შეასრულა მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 7 მაისისათვის შეასრულეს მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 12,600 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 12,606 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი გ. მიხანაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ბუჯიაშვილი

# ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 7 მაისი. (საქდესის სპეც. კორ). 7 მაისს სან-ფრანცისკოში შესდგა ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც გადაწყდა დაინიშნოს ქვეკომისია შესწორებების შესახებ იმ წინადადებათა განსახილველად, რაც წარმოადგინეს იმ ქვეყნებმა, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაში. ქვეკომისიას წინადადება მიეცა რაც შეიძლება მალე წარუდგინოს ანგარიში ხუთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებს. ამ თათბირზე საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი იყო ამხ. მოლოტოვი, შეერთებული შტატებისა — სტეტინიუსი, შეერთებული სამეფოსი — ეტლი, ჩინეთისა — ველინგტონ-კუ, საფრანგეთისა — ბიდო.

# იუგოსლავიის ჯარებმა გაათავისუფლეს ზაგრები და ლიუბლიანა

ბელგრადი, 8 მაისი. (საქდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს იუგოსლავიის გენერალური შტაბის ცნობას, რომ იუგოსლავიის არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს ხორვატიის მთავარი ქალაქი ზაგრები და სლოვენიის მთავარი ქალაქი ლიუბლიანა.

# გერინგისა და კესელრინგის დატყვევება

ნიუ-იორკი, 9 მაისი. (საქდესი). როგორც ნიუ-იორკის რადიო გადმოგვცემს, მოკავშირეთა სარდლობის შტაბმა პარიზში ცნობა გამოაქვეყნა, რომ ამერიკის მე-7 არმიის ნაწილებმა დღეს ტყვედ ჩაიგდეს გერმან გერინგი და გერმანიის შეიარაღებული ძალების ყოფილი სარდალი დასავლეთში ალბერტ კესელრინგი.

## თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—10/V—„დედა და შვილი" და „შოპენიანა", 11/V—„ევგენი ონეგინი". რუსთაველის სახელობის—10/V—„ხევისბერი გოჩა". მარჯანიშვილის სახელობის — 10/V—„უმზითვო". 11/V—„ფიქრის გორა". მუსიკალური კომედიის—10/V—„სილვა". 11/V—„მსახიობის სიყვარული". სანკულტურის — 10/V—„სტუმარ-მასპინძლობა". გრიბოედოვის სახელობის—10, 11/V—„საგანგებო კანონი". სომხური—10/V—„მოკლული მტრედი", 11/V—„ქალი".

## კინოებში

10 მაისს: რუსთაველის სახელობის — „მზიური ველის სერენადა". ოქტომბერი — „ბუდაპეშტი". დამკვრელი—„გავროში". კომკავშირელი — „მეფე სალტანის ზღაპარი". სპარტაკი — „ოთხთა გული". ლუქსემბურგის სახელობის — „შემოსევა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი


**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

აცხადებს, რომ ა. წ. 24 მაისს, დღის 3 საათზე სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში, მელიქიშვილის ქ. № 16, შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან იოსების-ასული თოხაძე თემაზე: „ზოგიერთი ცნობები ბახმაროს მიდამოების ხერხემლიანთა შესწავლისათვის".

…


ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 [illegible]